OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ინფორმაცია მედიისთვის

სოციალური ინოვაციის ბანაკი

რა არის სოციალური ინოვაციის ბანაკი?

სოციალური ინოვაციის ბანაკი აერთიანებს ადამიანებს, რომლებიც კარგად იცნობენ ქვეყნის სოციალურ საჭიროებებს. ამავე დროს გააჩნიათ ისეთი იდეები, რომლითაც არსებული სოციალური პრობლემების მოგვარებაა შესაძლებელი. ბანაკში ყოფნის 48 საათის მანძილზე მონაწილეებს ამ იდეების ვებ პროექტებად გარდაქმნის შესაძლებლობა ეძლევათ. ვებ პროექტის გამარჯვების შემთხვევაში კი გამარჯვებულებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო, რომლის მეშვეობით ბანაკის დასრულების შემდეგ პროექტის რეალურად განხორციელებაც გახდება შესაძლებელი. სწორედ ამიტომ, იმისათვის, რომ პროექტმა გაიმარჯვოს არა მხოლოდ ინოვაციური უნდა იყოს და სოციალური პრობლემატიკისკენ მიმართული, არამედ რეალისტურიც. მსგავსი ვებ პროექტების თემა შეიძლება იყოს: <u>არჩევნების მონიტორინგი, ადამიანის უფლებების დარღვევების აღნუსხვა, უმწეოთა დახმარება, მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესება ან ნებისმიერი სახის სოციალური კამპანია.</u>

როგორ მოხდება საუკეთესო იდეების გამოვლენა ბანაკში?

8 აპრილს მონაწილეები დაიყოფიან ჯგუფებად 6 შერჩეული იდეის გარშემო. ეს 6 იდეა ჟიურიმ მონაწილეთა შერჩევის პირველ ეტაპზე საუკეთესოდ მიიჩნია და დასამუშავებლად გადაარჩია.

ბანაკში 2 დღიანი მუშაობის შედეგად ჯგუფები არსებული იდეების საფუძველზე ქმნიან სოციალური პროექტის ვებმოდელს, ვებ გვერდის სახით, სოციალური ქსელზე ან Google რუკებზე განთავსებით, ან სხვა თანამედროვე ვებპლატფორმების გამოყენებით. ადგილზე მუშაობა ხდება კომპიუტერებთან. ამ 6 იდეიდან გაიმარჯვებს მხოლოდ 2. ერთ საუკეთესო პროექტს შეარჩევს სოციალური მედიის 5 ევროპელი ექსპერტისგან დაკომპლექტებული ჟიური. მეორეს კი- კონფერენციის მონაწილეები. პირველ ადგილზე გასულს გადაეცემა 3000$, ხოლო მეორე ადგილზე გასულს 2000$.

როგორია სოციალური ინოვაციის ბანაკისთვის მონაწილეების შერჩევის პრინციპი?

მონაწილეების შერჩევა ხდება ვებ გვერდზე დარეგისტრირებული (http://sic-caucasus.net) განაცხადის საფუძველზე. საქართველოში დაგეგმილ ბანაკში 200-მდე მსურველის განაცხადი შემოვიდა, რომელიც შერჩევის პირველ ეტაპზე გაიცხრილა და გადაირჩა მხოლოდ 40.
დარეგისტრირებული იდეებიდან მეორე ეტაპზე გადაირჩა 18 იდეა, საბოლოოდ კი- 6.

რა შედეგებია მოსალოდნელი?

პირველი კავკასიური "სოცილური ინოვაციის ბანაკის" ჩატარება საქართველოში ხელს შეუწყობს სოციალური მედიის განვითარებას საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში. შეიქმნება ახალი სოციალური ვებპროექტები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისათვის. გაჩნდება ახალი (მათ შორის სოციალური) ვებ გვერდები, რომელიც მათი განმახორციელებლებისგან ნაკლებ ფინანსურ რესურსს მოითხოვს.

უცხოელი ექსპერტები, რომლებიც წარმართავენ ღონისძიებას და ჟიურის წევრები არიან:

1. Dr. Dan McQuillan- ციფრული და ახალი მედიის გურუ. მრავალი სოციალური ვებ პროექტის ავტორი. The Open Rights Group-ის ყოფილი დირექტორი. სოციალური ინოვაციების ბანაკის კონცეფციის ავტორი. დიდი ბრიტანეთი.
2. Tony Bowden- საერთაშორისო აგიტატორი, mySociety
3. Elizabeth Métraux- სოციალური მედიის კონსულტანტი, პროგრამის დირექტორი, PH International
4. Mathias Huter -ანალიტიკოსი, საერთაშორისო გამჭვირვალობა
5. Andy Markowitz- მულტიმედიური რედაქტორი, Transitions Online
6. Jakub Górnicki- ახალი მედიის ტრენერი. თანამშომლობს და წერს Global Voice-სთვის.

დამატებით ინფორმაციისათვის ეწვიეთ ვებ გვერდს: http://sic-caucasus.net